SABUKO
Society for Nature Conservation

29.12.2022

პიროტექნიკის შესახებ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

შალვა პაპუაშვილს

ასლი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი

რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს

მაია ბითაძეს

ასლი: გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის მინისტრს

ოთარ შამუგიას

ბატონო შალვა,

„საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის - საბუკო“ არაერთი წელია რაც სახეობების დაცვის მიმართულებით მუშაობს. ამ დროის განმავლობაში მრავალი საფრთხე გამოიკვეთა, რაც საქართველოს ველური ბუნების წინაშე დგას. სხვადასხვა პრობლემასთან ერთად წლიდან-წლამდე მწვავდება პიროტექნიკით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების საკითხი, როგორც ადამიანთა ჯანმრთელობასთან, ისე შინაურ და გარეულ ცხოველებთან დაკავშირებით. გვსურს გამოვყოთ ის ძირითადი ასპექტები, რაც განსაკუთრებით ამწვავებს პიროტექნიკის გამოყენების პრაქტიკას და საფრთხეს უქმნის ბუნებრივ გარემოს.

პიროტექნიკას განსხვავებული შეწუხების ეფექტი გააჩნია სხვადასხვა სახეობის ფრინველზე. ფრინველები რეაგირებენ ფეიერვერკის ვიზუალურ/ხილულ განათებებზე, ისევე როგორც აკუსტიკურ/ხმოვან სტიმულებზე. გარემოში მოულოდნელად გამოწვეული ხმაური ურბანულ გარემოში გავრცელებულ


მის: ვანო სარაჯიშვილის 3a, თბილისი, საქართველო
ტელ: (0322) 90 74 93; ელ.ფოსტა office@sabuko.org

ფრინველებს გაფრენისკენ და უცარი საფრთხისგან თავის არიდებისკენ უბიძგებს, რა დროსაც, ძალიან ხშირია მათი შენობებზე, მინებზე შეჯახებისა და სიკვდილის ფაქტები. სეზონურად, ფეიერვერკის გამო, მობუდარი ფრინველები ბუდეებსა და ბარტყებს აღარ უბრუნდებიან და ხშირად საცხოვრებელ ადგილს სამუდამოდ ტოვებენ.

მსოფლიოს მასშტაბით, არაერთი რეგულაცია არსებობს პიროტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ევროკავშირში პიროტექნიკის ყიდვა-გაყიდვა და გამოყენება ორი დირექტივით რეგულირდება:

- დირექტივა 2013/29/EU, რომელიც ადგენს ევროკავშირში პიროტექნიკის ჰარმონიზებულ წესებს;
- დირექტივა 2014/58/EU, რომელიც აყალიბებს ბაზარზე ფეიერვერკების მიკვლევადობის სისტემას.

სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზიანის მასშტაბების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საციცოხლოდ მნიშვნელოვანია პიროტექნიკასთან დაკავშირებით განისაზღვროს მთელი რიგი მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რამდენიმე წლის წინ დაწესდა ასაკობრივი შეზღუდვა, არასრულწლოვნებისთვის პიროტექნიკის მიყიდვა დასჯადი გახდა, პიროტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციისთვის კი, განსაზღვრულია რეგულაციები[1], მაინც ვხედავთ რომ გაყიდვა უკონტროლოდ ხდება. დღეისათვის, მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერები ვერ უზრუნველყოფს საფრთხის პრევენციას, ან შემცირებას. მათ შორის, პიროტექნიკის გამოყენება არ ხდება იმ მოთხოვნების შესაბამისად, რაც სახეობების დაცვას შეუწყობს ხელს.

არაერთი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, მკაცრად უნდა განისაზღვროს გაყიდვა, ფლობისა და გამოყენების წესები. მაგალითისთვის, მათ ეტიკეტზე გამოსახული უნდა იყოს საკმარისი და შესაბამისი ინფორმაცია უსაფრთხო გამოყენების შესახებ, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით. ნაწარმის ბაზარზე განთავსებისას, მწარმოებლებმა უზრუნველყონ, რომ მათი დიზაინი და საწარმოო პროცესი შეესაბამებოდეს უსაფრთხოების ძირითად

[1] მათი გაყიდვა დაშვებულიასპეციალიზებულ მაღაზიებში, განყოფილებებში (სექციები), პავილიონებსა და ჯიხურებში, სადაც ისინი დაცული იქნებიან პირდაპირი მზის სხივებისა და ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან.

მოთხოვნებს. გარდა ამისა, საკვანძო საკითხი, რეგულაციის აღსრულება და მისი მონიტორინგია.

ამ და სხვა დეტალების განსასაზღვრად, საჭიროა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაც, საკანონმდებლო ცვლილებებისა და პიროტექნიკის გამოყენების მკაცრი რეგულაციის საწინდარი გახდება; ვიმედოვნებთ, რომ შეიზღუდება მასობრივად უკონტროლო გამოყენება. საბუკო მზადაა სხვა ორგანიზაციებთან, სამინისტროებთან და პარლამენტთან ერთად ჩაერთოს პროცესში, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ჯანმრთელობის, ქონებისა და გარემოზე ზიანის მიყენების რისკები.

პატივისცემით,

თინათინ არველაძე.




მის: ვანო სარაჯიშვილის 3a, თბილისი, საქართველო
ტელ: (0322) 90 74 93; ელ.ფოსტა office@sabuko.org